ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის

შესახებ № 127

დაბა შუახევი 15 ივნისი 2022 წელი

ერთის მხრივ შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი **მერის ომარ ტაკიძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „E-2010"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ედნარ საკანდელიძის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2022 წლის 13 ივნისის № 1947 განკარგულების (SMP220001672) თანახმად, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. საბეჭდი ქაღალდის (A4 ფორმატი) (შემდგომში „საქონელი") გამარტივებული შესყიდვა (CPV 30100000, 30197630).

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2475 (ორი ათას ოთხას სამოცდათხუთმეტი)** ლარს.
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა მოიცავდეს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს და კოორდინაციას განახორციელებს **შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის დამხმარე მოსამსახურე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში მირიან ზოიძე.**
3.3. კორდინატორის ფუნქციებია:
3.2.1 მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამოსობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
3.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4. სტანდარტები და საგარანტიო პირობები

4.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **დაბა შუახევში, თამარ მეფის N22.**
5.2 საქონლის მოწოდების ვადა განისაზღვროს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 20 ივნისის ჩათვლით პერიოდი.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.
6.3. საქონლის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს **შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის დამხმარე მოსამსახურე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში მირიან ზოიძე.**

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
7.2 ანგარიშწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო დოკუმენტი.
7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
8.2 შემსყიდველი ვალდებულია.
8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;
8.3 მიმწოდებელი უფლებვამოსილია:
8.3.1 მიიღოს მიწოდებული საქონლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1 გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
8.4.2 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს `შემსყიდველი~ ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პარობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ხელშეკრულებაში პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02 % პროცენტის ოდენობით;
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 0.1% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ს ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) მხარეთა შეთანხმება;
ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და **მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდამდე.**

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16 სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპი. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შუახევის მუნიციპალიტეტი	შპს „E-2010“
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.22.	მის. ხელვაჩაური, სოფ. კახაბერი
სახელმწიფო ხაზინა	მომსახურე ბანკი: სს ,,საქართველოს ბანკი''
ბ/კოდი: TRESGE22	ბ/კოდი: BAGAGE22
	ა/ნ:GE35BG0000000890543600
ს/კოდი 247865145	ს/კოდი: 448381992
მერი ომარ ტაკიძე	დირექტორი ედნარ საკანდელიძე

shuakhevi municipality
Digitally signed by shuakhevi municipality
Date: 2022.06.15 14:05:25 +04'00'

Ednar Sakandelidze 61006048262
Digitally signed by Ednar Sakandelidze
Date: 2022.06.15 14:19:22

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დაბა შუახევი

ვადასტურებ, რომ საბეჭდი ქაღალდის (A4 ფორმატი) სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე.

დანართი №1

ფასების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღირებულება (ლარი)
1	საბეჭდი ქაღალდი (A4 ფორმატი), უმაღლესი ხარისხის, შეკვრაში 500 ც.	შეკვრა	150	16.5	2475.00
სულ ჯამი:					2475.00

შპს ,,E - 2010"-ის დირექტორი ედნარ საკანდელიძე